იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 3. აკადემიის სამართლებრივი სტატუსი

1. აკადემია არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი შედგება აკადემიის ნამდვილი წევრებისა (აკადემიკოსებისა) და წევრ-კორესპონდენტებისაგან, აგრეთვე საპატიო აკადემიკოსებისაგან და აკადემიის უცხოელი წევრებისაგან.

2. აკადემია არის საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი.

3. აკადემია თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც დამოუკიდებლად ამტკიცებს აკადემიის წესდებას, განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს.

4. დაუშვებელია ტერმინის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ გამოყენება ამ კანონში გამოყენებულისგან განსხვავებული მნიშვნელობით.

5. დაუშვებელია, საქართველოში სხვა რომელიმე აკადემიის წევრი იწოდებოდეს აკადემიკოსად ან წევრ-კორესპონდენტად ან აკადემიის წევრად კონკრეტული აკადემიის სრული სახელწოდების მითითების გარეშე, გარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრისა.

მუხლი 4. აკადემიის მიზნები და ამოცანები

1. აკადემიის მიზნებია:

ა) საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად;

ბ) თავისი წევრების ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და პროფესიონალიზმზე დაყრდნობით საქართველოს მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი წარმოჩენა;

გ) ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევების ხელშეწყობა;

დ) საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების შემუშავება;

ე) საქართველოში და უცხო ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროექტების მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და საზოგადოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა;

ვ) სახელმწიფო ენებზე ზრუნვა და ამ ენებზე სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრულყოფა.

2. თავისი ამოცანების შესასრულებლად აკადემია:

ა) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას;

ბ) აწყობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს; ატარებს საჯარო ლექციებს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

გ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცვლას;

დ) უფლებამოსილია გახდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; დაამყაროს კავშირები მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან;

ე) უფლებამოსილია განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ვ) აარსებს და ანიჭებს პრემიებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგებში მნიშვნელოვანი სამეცნიერო სამუშაოების წარმოსაჩენად;

ზ) უფლებამოსილია შექმნას კომისიები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგებში;

თ) უფლებამოსილი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ინახავს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა პირად არქივებს, რომლებიც ფასეულია საქართველოს ისტორიისათვის;

ი) განიხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – ტექნოლოგიური ინსტიტუტისა) სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს;

კ) დარგების მიხედვით ანიჭებს წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ტიტულსა და ჯილდოებს;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს აკადემიის ამოცანებთან

დაკავშირებულ სხვა, მათ შორის, დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას.

მუხლი 5. აკადემიის მართვის პრინციპები და მართვის ორგანოები

1. აკადემიის მართვა ხორციელდება არჩევითობის, დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით.

2. აკადემიის მართვის ორგანოებია:

ა) აკადემიის საერთო კრება;

ბ) აკადემიური საბჭო;

გ) აკადემიის პრეზიდენტი.

მუხლი 6. აკადემიის საერთო კრება

1. აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანოა აკადემიის საერთო კრება. აკადემიის საერთო კრების მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობენ საქართველოში მყოფი საპატიო აკადემიკოსები და აკადემიის უცხოელი წევრები.

2. აკადემიის საერთო კრება:

ა) ამტკიცებს აკადემიის წესდებას საერთო კრების დადგენილებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

ბ) განსაზღვრავს აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

გ) ირჩევს აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, აკადემიკოს მდივანსა და აკადემიის საბჭოს სხვა წევრებს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

დ) ვადამდე გამოიწვევს აკადემიური საბჭოს წევრებს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის 3/5-ით;

ე) იხილავს და ამტკიცებს აკადემიის წლიურ ანგარიშს და წარადგენს დასაბუთებულ მოთხოვნას მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსებაზე;

ვ) ირჩევს აკადემიის ნამდვილ წევრებსა (აკადემიკოსებსა) და წევრ-კორესპონდენტებს, ამტკიცებს საპატიო აკადემიკოსებსა და აკადემიის უცხოელ წევრებს;

ზ) იხილავს სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

3. აკადემიის საერთო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს აკადემიის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი განისაზღვრება აკადემიის წესდებით დადგენილი წესით.

4. აკადემიის საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

მუხლი 7. აკადემიური საბჭო

1. აკადემიური საბჭო შედგება: აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიკოს-მდივნისა და აკადემიის სხვა წევრებისაგან. აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის წესდებით. აკადემიური საბჭოს წევრები არ არიან საჯარო მოხელეები.

2. აკადემიური საბჭოს წევრებს ირჩევს აკადემიის საერთო კრება 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კენჭისყრის ფორმა განისაზღვრება აკადემიის წესდებით.

3. აკადემიური საბჭო ასრულებს აკადემიის საერთო კრების დადგენილებებს და საერთო კრებებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს აკადემიის საქმიანობას.

4. აკადემიური საბჭო ანგარიშვალდებულია აკადემიის საერთო კრების წინაშე.

5. აკადემიურ საბჭოს ემსახურება ადმინისტრაციული აპარატი.

6. აკადემიური საბჭოს სხვა უფლებამოსილებანი განისაზღვრება აკადემიის წესდებით.

მუხლი 8. აკადემიის პრეზიდენტი

1. აკადემიის პრეზიდენტი არის აკადემიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი პასუხს აგებს აკადემიის საქმიანობის წარმართვაზე. აკადემიის პრეზიდენტი იმავდროულად არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

2. აკადემიის პრეზიდენტი აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის საერთო კრებას.

3. აკადემიის პრეზიდენტს აკადემიის ნამდვილ წევრთაგან (აკადემიკოსთაგან) ირჩევს აკადემიის საერთო კრება 5 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. აკადემიის პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნეს არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადით.

4. აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა არის ადმინისტრაციული თანამდებობა. მასზე არ ვრცელდება ასაკობრივი შეზღუდვა.

5. აკადემიის პრეზიდენტის სხვა უფლებამოსილებანი განისაზღვრება აკადემიის წესდებით.

მუხლი 9. აკადემიის სტრუქტურა

აკადემიის სტრუქტურა განისაზღვრება აკადემიის წესდებით.

მუხლი 10. აკადემიის შემადგენლობა

1. აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) საერთო რაოდენობა არ აღემატება სამოცდაათს.

2. აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) და წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მეცნიერი – საქართველოს მოქალაქე, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში და მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტით სარგებლობს.

3. საპატიო აკადემიკოსად შეიძლება არჩეულ იქნეს საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწე – საქართველოს მოქალაქე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

4. აკადემიის უცხოელ წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე – უცხო ქვეყნის მოქალაქე.

5. აკადემიის საერთო კრებასა და აკადემიურ საბჭოში აკადემიის წევრის საქმიანობა არ ითვლება

ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებად.

მუხლი 11. აკადემიის წევრის, საპატიო აკადემიკოსისა და აკადემიის უცხოელი წევრის არჩევა

აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის), წევრ-კორესპონდენტის, საპატიო აკადემიკოსისა და აკადემიის უცხოელი წევრის არჩევის წესები განისაზღვრება აკადემიის წესდებით.

მუხლი 12. აკადემიის წევრის ანაზღაურება

1. აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს) მთელი სიცოცხლის განმავლობაში ენიშნება ანაზღაურება თვეში არანაკლებ 1600 ლარის ოდენობით.

2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ენიშნება ანაზღაურება თვეში არანაკლებ 1000 ლარის ოდენობით.

3. აკადემიის წევრის ანაზღაურება გაიცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

4. აკადემიის ნამდვილ წევრსა (აკადემიკოსსა) და წევრ-კორესპონდენტს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ანაზღაურება შეუწყდებათ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურება არის აკადემიის წევრის სამეცნიერო სტატუსის შესაბამისი ანაზღაურება.

მუხლი 15. აკადემიის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

აკადემიის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.